საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ხ. თ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.10.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №090/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 15 ოქტომბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა ხ. თ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2021 წლის 27 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 01 ოქტომბერს გამართული იყო წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (საქმე N-), სადაც ის წარმოადგენდა ბრალდებულთა ინტერესებს. დასახელებულ სხდომაზე ძებნილის ადვოკატი გ. მ. განზრახ გამოცხადდა 40 წუთის დაგვიანებით, რაც ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას. დასახელებული დროის განმავლობაში ადვოკატთან კომუნიკაცია იყო თითქმის

შეუძლებელი. თავდაპირველად, ადვოკატი ატყუებდა სხდომის მდივანს, ხოლო მოგვიანებით საერთოდ აღარ პასუხობდა მის ზარებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თავად დაურეკა ადვოკატ გ. მ.-ს, რის შემდეგაც ადვოკატი ძალიან მალე მივიდა სასამართლოში პროცესზე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი გ. მ. ხმაურიანად შეიჭრა სასამართლო სხდომის დარბაზში და საჩივრის ავტორის მისამართით დაიწყო ყვირილი და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, სხდომის დასრულების შემდეგ, ის ყველაზე გვიან გავიდა სასამართლო დარბაზიდან, ვინაიდან მოერიდა ადვოკატ გ. მ.-თან შეხვედრასა და ცდილობდა კონფლიქტისათვის თავის არიდებას.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს ეზოში მას ელოდებოდა ადვოკატი გ. მ., რომელმაც მისი დანახვისას კვლავ დაიწყო ყვირილი და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. ადვოკატი გ. მ. იქცეოდა ადვოკატისათვის შეუფერებლად, დამცინავი ღიმილით, შემდეგი ფრაზებით მიმართავდა საჩივრის ავტორს: „ჩემო ტურფა“ და „ჩემო ანგელოზო“.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გ. მ. სასამართლო პროცესის დროს იქცეოდა თავხედურად და მისი საუბარი იყო არაკორექტული, რის დასადასტურებლადაც ადვოკატმა ხ. თ.-მა წარმოადგინა 2020 წლის 01 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმეზე N-.

1.7 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის არაკოლეგიალური ქცევა იმსახურებს უმკაცრეს პროფესიულ პასუხისმგებლობას.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატმა გ. მ.-მა უარი განაცხადა საჩივრის ჩაბარებასა და დისციპლინური საქმის წარმოებაში ჩართვაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ადვოკატმა ხ. თ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 15 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა გ. მ.-მა 2020 წლის 01 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადვოკატ ხ. თ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო სხდომის დასრულების შემდეგ სასამართლოს ეზოში მიმართა დამცინავი და დამამცირებელი ფრაზებით: „ჩემო ტურფა“ და „ჩემო ანგელოზო“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ გ. მ.-ის ქცევა შეამოწმა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“;

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა.

5.4 ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები. კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ

გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.5 ადვოკატმა ხ. თ.-მა საჩივარში და საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მისთვის შეურაცხმყოფელი იყო ადვოკატ გ. მ.-ის ქცევა, როგორც სასამართლო პროცესზე, ასევე სასამართლოს ეზოში. ვინაიდან, საჩივრის ატორის პრეტენზია იყო ზოგადი ხასიათის, 2021 წლის 27 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატ ხ. თ.-ს დაევალა, მის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 01 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სასამართლო სხდომის ოქმის (საქმე N-) მიხედვით კონკრეტულად განესაზღვრა თუ ადვოკატ გ. მ.-ის რომელ ფრაზასა და ქცევას ხდიდა სადავოდ. ადვოკატმა არ წარმოადგინა სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით ადვოკატის ქცევათა მიმოხილვა და საპროცესო კოლეგიას მიანდო გადაწყვეტილების მიღება.

5.6 საპროცესო კოლეგიამ გულდასმით შეისწავლა ადვოკატ ხ. თ.-ის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 01 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმეზე N-, სადაც ბრალდებულებს წარმოადგენდნენ ვ. ნ., ე. კ., გ. კ., კ. ა., გ. ქ. და გ. გ.. ადვოკატი ხ. თ. იცავდა ბრალდებულ კ. ა.-ის ინტერესებს. დასახელებულ სასამართლო პროცესზე, სასამართლო სხდომის დარბაზში გამოცხადნენ ადვოკატები: დ. ნ., ხ. თ., და გ. მ.. სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვას ესწრებოდა თარჯიმანი ხ. ს..

5.7 სასამართლო სხდომის ოქმის გამოკვლევის შედეგად არ დასტურდება ადვოკატ გ. მ.-ის მიერ ადვოკატ ხ. თ.-ისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი; ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმის ჩანაწერით დგინდება, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ, საქმიან გარემოში, სადაც ადგილი არ ჰქონია ადვოკატებს შორის სიტყვიერ დაპირისპირებას. ადვოკატ ხ. თ.-ის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმი არ შეიცავს ადვოკატებს შორის მომხდარი კონფლიქტის დამადასტურებელ ჩანაწერს.

5.8 ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ მხარემ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად თავად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №-, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატ ხ. თ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა გ. მ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების

ტვირთი სწორედ ადვოკატ ხ. თ.-ს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა გ. მ.-მა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია საქმეზე მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მისი პოზიციისათვის სასარგებლო მტკიცებულებები. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, აუცილებელია, რომ დადასტურდეს მტკიცებულებებით, რომელებიც მიუთითებენ საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებზე. ადვოკატ ხ. თ.-ს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურდება ადვოკატ გ. მ.-ის არაკოლეგიალურ ქცევას.

5.9 საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერები არ ასახავს ადვოკატებს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მომხდარ ინციდენტს, რაზეც საჩივარში ყურადღებას ამახვილებს ადვოკატი ხ. თ.. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ გ. მ.-ის მიერ ისეთი რეპლიკების გამოყენების ფაქტი, როგორებიცაა: „ჩემო ტურფა“ და „ჩემო ანგელოზო“. ეთიკის კომისიის შეფასებით, თუნდაც ადვოკატ გ. მ.-ს, საჩივრის ავტორისათვის მიემართა ზემოთ აღნიშნული ფრაზების გამოყენებით, აღნიშნული მაინც არ შეფასდება ადვოკატ ხ. თ.-ის სიტყვიერ შეურაცხყოფად, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება ადვოკატ გ. მ.-ის ბოროტი განზრახვა, რომელიც კოლეგის დამცირებას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას ისახავდა მიზნად.

5.10 კომისია დამატებით განმარტავს, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის სუბიექტური მდგომარეობის და იმის შესახებ, თუ როგორი მორალური ტანჯვა მიაყენა მას ადვოკატის სიტყვებმა. ამიტომ, ეთიკის კომისია საზომად ზოგად, ობიექტურ ფაქტორებს იღებს და არა საჩივრის ავტორის სუბიექტურ შეხედულებებს. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ შესაძლოა ადამიანის გაღიზიანება, გაბრაზება ისეთმა სიტყვებმაც გამოიწვიოს, რომელიც სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს შეურაცხყოფას, რადგან ადამიანის შეურაცხყოფა ხდება უხამსი სიტყვების გამოთქმით (ეთიკის კომისიის 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 022/19). საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული რეპლიკა კი გამოხატული არ არის უწესო ან/და დამამცირებელი ფორმით და მიზნად არ ისახავს ადვოკატის შეურაცხყოფას.

5.11 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ გ. მ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადგილი არ აქვს აპეკ-ის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №090/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/